ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ 1975 ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ—ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘᲡᲬᲠᲘ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲓᲐᲜ

1975 ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 12 ᲛᲐᲠᲢᲘ № 59 (16185) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1975

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲐ: *ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ!*

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲠᲘᲗᲛᲘᲜᲣᲚᲘ

294 ᲓᲦᲔ ᲓᲐᲑᲘᲑᲚᲘᲩᲘᲗᲐᲥᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 26 ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐᲜ 10.5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ *ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ.*

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲐᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ 4.5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ *ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ.*

200 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ!

ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲠᲝᲚᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲡ—ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

ᲓᲐᲓᲒᲐ მეცხრე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წლის გაზაფხული. და თუმცა საქართველოს ზოგიერთი რაიონი თოვლით არის დაფარული, ზამთარი თანდათან უკან იხევს. ყველგან იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა.

ამინდიც თითქოს ჰარმონიულად ეხამება საერთო სიტუაციას, საერთო განწყობილებასა და ვითარებას, რომლებიც ამჟამად სუფევს რესპუბლიკაში — იმ პატრიოტულ სულისკვეთებას, პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას, რაც 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესასრულებლად გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას მოჰყვა.

სამშობლოს ეს საპატიო ჯილდო მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის კეთილსინდისიერი შრომის დიდი შეფასებაა, რომლებმაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში.

ამასთან შარშანდელი წლის შედეგები თვითდამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. როგორც აღინიშნა ახლახან სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში გვაქვს საკმაოდ სერიოზული ჩამორჩენა, რომლის დაძლევა მეცხრე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წლის მთავარი ამოცანაა. მშრომელებმა უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. უწინარეს ყოვლისა, უნდა ავანაზღაუროთ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველი წლების დანაკლისი სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის დარგში.

იოლი როდი იქნება ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წელი სოფლის მეურნეობისთვისაც. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმებისა და სოფლის მშრომელთა ვალდებულებების შესრულებაზე დიდად არის დამოკიდებული გადამმუშავებელი მრეწველობის მიერ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ გეგმის შესრულების ბედიც.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ საწარმოების, ორგანიზაციების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს მოუწოდა მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ახალი საწარმოო სიმძლავრეების უსწრაფეს ამოქმედებასა და არსებული სიმძლავრეების უკეთ გამოყენებას, მთელი რეზერვების ამოქმედებას, რათა გაადიდონ პროდუქციის გამოშვება და გააუმჯობესონ მისი ხარისხი, ამასთან შეამცირონ მატერიალური და შრომითი დანახარჯები. ახლა უკვე უნდა მიეაღწიოთ სამუშაოთა ტემპის ძირეულ გარდატეხას მრეწველობასა და მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა სხვა დარგში.

დიახ, საქართველოს მშრომელებს 1975 წელს უამრავი სამუშაო აქვთ შესასრულებელი. სწორედ ამ წელმა უნდა გადაწყვიტოს რესპუბლიკის მიერ მთლიანად მეცხრე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დავალებათა შესრულების ბედი, ცხადყოს, რის გაკეთება შეუძლიათ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს. რით უპასუხებენ ისინი ჩვენი რესპუბლიკისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას.

თქმა არ უნდა, 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები მეტად დაძაბულია. მაგრამ ამოცანას მნიშვნელოვანწილად ისიც ართულებს, რომ ეს გეგმები, თუმცა ისინი დაძაბულია, მინიმალურად უნდა მიეიჩნიოთ. სირთულე ის არის, რომ 1971-1972 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების მთელი რიგი მაჩვენებლების შეუსრულებლობის გამო პირველად საბჭოთა ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ მანძილზე საქართველო აღმოჩნდა მთლიანად მეცხრე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დავალებათა შეუსრულებლობის საფრთხის წინაშე. დასახულ მიზნებს რომ მიაღწიოს, რესპუბლიკამ წლეულს სახელმწიფო გეგმის გადამეტებით უნდა აწარმოოს 200 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს უკიდურესად რთული და ძნელი ამოცანაა, მაგრამ ამავე დროს რეალურია და მისი შესრულება შეიძლება. მისი რეალიზაციისათვის საჭირო იქნება ყველა რგოლის — საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზუსტი, შეწყობილი შრომა, თვითეული მუშის, კოლმეურნის, ოსტატის, ბრიგადირის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის, სამეურნეო ხელმძღვანელის, თვითეული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაობის. თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული შრომითი კოლექტივის მუშაობა ძალებისა და ენერგიის, ცოდნისა და გამოცდილების სრული გამოყენებით, დასახული ამოცანა რომ შეასრულოთ, უნდა გამოვიყენოთ მთელი არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი, ავამოქმედოთ მთელი რესურსები. ეს რეზერვები უნდა ვეძიოთ წარმოების ყველა უბანზე, ვეძიოთ შეუპოვრად და ბეჯითად.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დაამტკიცა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები და მთელი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აღუთქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები გაათკეცებული ენერგიით იმუშავებენ, ახალი ძალით გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, გამოიჩენენ დიდ ორგანიზებულობას და შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს

პარტიას მისცეს სიტყვა, მუშის სიტყვა, მშრომელის სიტყვა, სიტყვა, რომლისთვისაც არასოდეს არ უღალატიათ მშობლიური კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულ საქართველოს მშრომელებს.—იყო პირველ და ომისშემდგომ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲗᲐ სიძნელენი თუ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვა პასუხსაგები მომენტები. და, როგორც ხალხი იტყვის ხოლმე, ახლა უკანდასახევი გზა აღარსად არის. საქმე ეხება სოციალისტური საქართველოს პრესტიჟს, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის პრესტიჟს. ვითარება მოითხოვს, რომ ყოველი ჩვენი მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენციის წარმომადგენელი, თვითეული მოქალაქე გახდეს ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის შეგნებული მებრძოლი, მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო მოღვაწე, სრულად ავლენდეს თავის ნიჭს. ინიციატივას, მეურნის გამჭრიახობას, მთელი სულითა და გულით ემსახურებოდეს ამ საერთო-სახალხო საქმეს.

რაოდენ თანამედროვეა, როგორ ეხმიანება ახლანდელ აღმშენებლობითს შრომას, ახლანდელ ვითარებას დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები, რომლებიც საბრძოლო მოწოდებასავით გაისმის:

„დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული
ვის უფრო უყვარს, ძმანო, მამული“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲛᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ:

—მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲡ: აღნიშნონ მეცხრე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წელი ნამდვილად თავადადებული, დამკვრელური შრომით, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობისათვის, ხარისხის ამაღლებისათვის, უმაღლესი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის;

— ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲡ: მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და დამზადების რეკორდულ მაჩვენებლებს, ინტენსიურად განავითარონ მიწათმოქმედება და მეცხოველეობა;

— ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲙᲡ, ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲗᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲡ, ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲡ, ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ, ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ: წარმართონ მეურნეობა ნამდვილად მეცნიერულ, ნამდვილად პარტიულ საფუძველზე, სრულყონ დაგეგმვა, აამაღლონ მართვის ეფექტიანობა, გააუმჯობესონ მთელი ჩვენი ეკონომიკის ხელმძღვანელობა;

— ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲡ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ: ყოველნაირად შეუწყონ ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, განამტკიცონ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ადამიანის სულიერი და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში;

— ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ: თანამიმდევრულად განახორციელონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, სრულყონ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. პრინციპულად ებრძოლონ სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო მოვლენებსა და ტენდენციებს, იყონ მასების ნამდვილი წინამძღოლები.

200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია!

ამ ამოცანის შესრულებისათვის რესპუბლიკას საკმაო შესაძლებლობა აქვს. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, უდიდესი გამოუყენებელი რეზერვები, რომლებსაც საბალხო მეურნეობის ბევრი უმნიშვნელოვანესი დარგი შეიცავს. ეს არის საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის — შრომითი რესურსების უაღრესად სრული გამოყენება, რომლებსაც ჩვენში ჯერ კიდევ მეტად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ყოველივე ამის საფუძველზე **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წელი გარდატეხის წლად გამოაცხადა მთელი ჩვენი შრომითი რესურსების მაქსიმალური, უაღრესად რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით.**

ამიტომ, თუ შენ ხარ კომუნისტი, შენი რესპუბლიკის მოქალაქე, და სიტყვით კი არა, საქმით ვიყვარს შენი ხალხი, შენი ქვეყანა, შენს უპირველეს მოვალეობად უნდა მიგაჩნდეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა, უნდა მუშაობდე ძალღონის

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

ᲪᲕᲚᲐᲨᲘ — ᲜᲝᲠᲛᲐᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ

ᲙᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲤᲔᲮᲘᲡᲪᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ „ᲘᲜᲜᲔᲡᲘ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ. ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲤᲔᲮᲘᲡᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲝᲜ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲔ. ᲑᲘᲜᲠᲛᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲡᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲚᲝᲜ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲨᲔᲜᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲐᲰᲜᲘᲓᲔᲗ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔ ᲫᲐᲚᲦᲝᲜᲘᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

10 ᲛᲐᲠᲢᲡ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში გაიმართა დედაქალაქის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ვ. ვ. კელდიში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. კირილლინმ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. ვრიშინმა.

თათბირმა ურჩია მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებს, დედაქალაქის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელებს გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა იმისთვის, რომ დაარაზმონ კოლექტივები 1975 წლის-და მთლიანად ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის დაჩქარებისათვის. (საკ.ფილი).

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ

10 ᲛᲐᲠᲢᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ტ. ჰარვი.

საუბარში განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები და ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი საბჭოთა კავშირ-ინგლისის ამასწინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგების შესაბამისად.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲠᲗᲜᲐ

ᲐᲛ დღეებში დამთავრდა ჯარების წვრთნა, რომელიც მოეწყო სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. წვრთნაში მონაწილე ჯარებმა ცხადყვეს საველე გაწვრთნილობის მაღალი დონე და მიიღეს საჭირო პრაქტიკა.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲖᲔ

ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲝᲕᲘᲗᲘ მექანიკურ ქარხანაში ვადამდე დამზადეს პანელის სახლთსაშენებელი საწარმო, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს ათას ოროთახიან ბინას. მისი კონსტრუქციები გიგზავნა სმოლენსკის ოლქის ქალაქ იარცევოში, სადაც იქმნება მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების ფილიალი.

საწარმოში შედის თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი ორი მთავარი კორპუსი, ბეტონის შესარევი კვანძი დამხმარე წარმოება, საყოფაცხოვრები და სასაწყობო სათავსები. პროგრამით გათვალისწინებული მშენებლობის დამთავრების შემდეგ ასეთი კომბინატი შეიძლება დავშალოთ და ავაწყოთ ახალ მოედანზე.

„ᲛᲝᲛᲗᲐᲑᲐᲠᲘ“ საწარმოთა კონვეიერებზე დამზადებულ სახლებში ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ მანძილზე ახალმოსახლეობა იდღესასწაულა ნორილსკელ მეტალურგთა, ცომბარელ მენავთობეთა, შორეულაღმოსავლელ ენერგეტიკოსთა ოცდაათიათასზე მეტმა ოჯახმა.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲠᲔ ᲜᲐᲙᲘᲡᲠᲘ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 10,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ — ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 26 ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 26 კომისრის სახელობის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს წლეულს ადრე ნაკისრი 7,5 მილიონი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოუშვან 10,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია.

— რაიონის მოწინავე საწარმოებმა იკისრეს, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეტანონ იმ დიდი ვალდებულების შესრულებაში, რომელიც წლეულს რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე დგას და 200 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებას თვალისწინებს, — აღნიშნა პარტიის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. გელაშვილმა. — მაგალითად, № 1 წისქვილ-კომბინატმა ადრე ნაკისრი 900 ათას მანეთს კიდევ 1 მილიონ 100 ათასი მანეთი დაუმატა და წლეულს 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება იკისრა; 1 მილიონი მანეთით გადიდა თავისი ვალდებულება ცხიმკომბინატის კოლექტივმაც, ე. ი. კომბინატი წლეულს 2 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას გამოუშვებს; თავისი სიტყვა თქვეს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ინნის“ მშრომელებმაც — ბელ ვალდებულებას 200 ათასი მანეთი დამატეს და იგი ნახევარ მილიონ მანეთამდე გაადიდეს.

რაიონის მრეწველობის შრომითი ენთუზიაზმი მაღალია. საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ ეს ენთუზიაზმი კიდევ უფრო გაიზარდა. ფართოდება შეჯიბრება დეევიზით — გამოვუშვათ მეტი, მაღალხარისხოვანი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

ორი თვის დავალება რაიონის მრეწველობამ ვალამდე გადაჭარბებით შეასრულა — გეგმის გადამეტებით დამზადებულია 1 მილიონ 59 ათასი მანეთის საერთო პროდ

საქართველოს მშრომელთა საბრძოლო ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

(დასასრული)

დაუზოგავად, იყო იქ, სადაც წყდება ხუთწლედის, და ამასთანავე რესპუბლიკის პრესტიჟის ბედიც, მხარში უდგე იმათ, ვინც იბრძვის ძნელი და საპატიო გამარჯვების მოსაპოვებლად მშრომელ ხალხში არ უნდა იყვნენ უსაქმურები და მუქთახორები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ბრძოლის გაძლიერებას ბიუროკრატიზმის, ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ამ დიდი ბოროტებისა და დაბრკოლების წინააღმდეგ, რომლის ჭაობში კვდება ყოველი ცოცხალი საქმე. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დროა გადავიდეთ ფართო შეტევაზე მთელი ფრონტით.

რაც უფრო მეტად მაღლდება თვითეული საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, შეგნებული დისციპლინის, იდეური მრწამსის როლი, მით უფრო დიდ წარმატებებს ვაღწევთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამიტომ არის, რომ სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ყველა უბანზე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას ჩვენი პარტია უაღრესად მჭიდროდ უკავშირებს მშრომელი მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის განუწყვეტელ სრულყოფას. სწორედ ამას ეთმობა მთავარი ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“, რომელშიც დასახულია ამოცანა უზრუნველვყოთ იდეოლოგიური მუშაობის დიდი ქმედითობა. ამას ვაღწევთ „მისი ისეთი ორგანიზაციის მეოხებით, რომელიც უზრუნველყოფს იდეურ-პოლიტიკური ამოცანების კომპლექსურ შესრულებას, ოპერატიულობას, მასების სწრაფ და ზუსტ ორიენტაციას.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ჩვენმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ, რომლებიც იბრძვიან გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, უნდა ჩააბარონ კიდევ ერთი გამოცდა — იდეური და პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. საგეგმო დავალებათა შესრულება, 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება შეიძლება მხოლოდ შეგნებული შრომის პირობით, როცა თვითეულს ღრმად აქვს შეგნებული თუ რა მნიშვნელობა აქვს მის მუშაობას საერთო წარმატების მიღწევისათვის.

ახლა მთავარი ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, საზოგადოებრივი წარმოების დიდი ეფექტიანობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის წარმატება. ამისათვის საჭიროა იდეური გავლენის ყველა საშუალება მოვახმაროთ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ აღმავლობას, თვით მშრომელთა ინიციატივის განვითარებასა და პასუხისმგებლობის გადიდებას მუშაობის ხარისხისათვის, შრომისა და შეგნებული დისციპლინისადმი მათი შემოქმედებითი დამოკიდებულების დანერგვას.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამეურნეო ორგანოებთან ერთად ფართოდ უნდა გაშალონ აქტიური პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს განუმარტონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანების სოციალისტურ ვალდებულებათა არსი და პოლიტიკური მნიშვნელობა. ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება — პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების, ეკონომიური განათლების მთელი სისტემა, სალექციო პროპაგანდა, საagიტაციო-მასობრივი მუშაობა, თვალსაჩინო აგიტაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა დავუქვემდებაროთ იმ ამოცანებს, რომ თვითეულ მშრომელს გავაცნოთ მისი როლი მეცხრე ხუთწლედისათვის ბრძოლაში.

მთელი ჩვენი პროპაგანდისტული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ და განვავითაროთ შრომითი აქტივობის აღმავლობა, უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, შემხვედრ გეგმებს, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას. ამ საქმეში აუცილებელი ფაქტორი იყო და არის ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიური სწავლება. სწორედ იგი ეხმარება მშრომელებს მაქსიმალური ეფექტით გამოიყენონ სამუშაო დრო, ელექტროენერგია, ნედლეული, გამოავლინონ რეზერვები, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება.

სასწავლო პროცესის ძირითადი ფიგურაა პროპაგანდისტი. სწორედ მასზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული მსმენელთა მიერ ცოდნის ათვისების ხარისხი და სიღრმე. ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის ბრძოლამ, იმის საჭიროებამ, რომ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ სწავლება აქტუალური საწარმოო ამოცანების გადაწყვეტას, რესპუბლიკის ბევრ საწარმოში მნიშვნელოვნად გააფართოვა პროპაგანდისტის ფუნქციები. საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის ავიასაწარმოს იდეოლოგიურმა მუშაკებმა. ისინი რესპუბლიკაში პირველები, ივანოვოს კამვოლის კომბინატის პროპაგანდისტთა მაგალითისამებრ, პოლიტიკური, ეკონომიური და კომკავშირული განათლების სისტემის სკოლებისა და სემინარების მსმენელებს ეხმარებიან ეკონომიურად და ტექნიკურად დასაბუთებული პირადი შემხვედრი გეგმების შემუშავებასა და შესრულებაში. ამ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი პარტიულმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა. ავიატორ პროპაგანდისტებს ათასობით მიმდევარი გაუჩნდათ. მათ ყველას ღრმად აქვს შეგნებული თავისი როლი და იდეურ დამრიგებელთა დანიშნულება, ზრუნავენ იმისათვის, რომ სწავლება უფრო მტკიცედ უკავშირდებოდეს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეხმარებოდეს მსმენელებს უკეთ ერკვეოდნენ მიმდინარე მომენტის თავისებურებებსა და ამოცანებში, ხელს უწყობდეს დისციპლინის განმტკიცებას, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას.

ყოველნაირ ქებასა და მხარდაჭერას იმსახურებს გორის ბამბეულის კომბინატის მეორე სართავი ფაბრიკის ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის პროპაგანდისტის ლიანა დუღაშვილის მუშაობა, რომელიც თავის მსმენელებს დაეხმარა შეედგინათ შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადი ხუთწლიანი გეგმები და მნირმავთა და მგეგმავთა დახმარებით ყოველთვიურად აკონტროლებს და აანალიზებს მათს შესრულებას. მეორე დღესვე, როცა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო ვალდებულებები 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების შესახებ, ლ. დუღაშვილი კვლავ დაეხმარა მსმენელებს განესაზღვრათ თავიანთი ადგილი რესპუბლიკის ყველა მშრომელის ამ ბრძოლაში და ყოველდღიური კონტროლი დაუწესა ახალი პირადი ვალდებულებების შესრულებას.

სიღნაღის რაიონის პროპაგანდისტებმა კონტროლი დააწესეს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი პროცესისადმი.

გუშინ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა ბათუმის მშრომელთა ჩინებული ინიციატივის შესახებ, რომლებმაც, იკისრეს რა ახალი უფრო დიდი ვალდებულებები, საქართველოს ყველა რაიონის მშრომელებს მოუწოდეს გადასინჯონ თავიანთი ვალდებულებები რესპუბლიკის ეკონომიკაში მათი ხვედრითი წონის შესაბამისად. ამ მოწოდებას პირველნი გამოეხმაურნენ აჭარის ასსრ, თბილისისა და ქუთაისის საწარმოთა, მშენებლობათა და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივები, და უკვე შეუდგნენ თავიანთი გადიდებული ვალდებულებების პრაქტიკულ განხორციელებას.

პარტიული პროპაგანდისტი ყოველთვის და ყველგან უნდა იყოს მასების სათავეში, თავისი მსმენელების საწარმოო საქმიანობის დამატებითი თვალი და კონტროლიორი, აღზარდოს ისინი დაკისრებული საქმისადმი დიდი ერთგულების, დიდი პრინციპულობისა და ბოლშევიკური სიმტკიცის სულისკვეთებით.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის კოლექტივებში მომუშავე თვითეული პროპაგანდისტი: უნდა ეხმარებოდეს მსმენელს, რომ შეადგინოს ეკონომიურად დასაბუთებული დაძაბული შემხვედრი გეგმები, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. სისტემატურად, ისე რომ არ დაელოდოს მორიგ მეცადინეობას, მოაწყოს მათი შესრულების მიმდინარეობის კოლექტიური ანალიზი, უფრო ფართოდ გამოიყენოს ეკონომიური ცოდნა თვითეულ სამუშაო ადგილას, რათა უფრო სწრაფად აამოქმედოს წარმოების რეზერვები და შრომითი რესურსები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში: უზრუნველყოს, რომ თვითეულმა მსმენელმა შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების პირადი გეგმები, პრაქტიკული დახმარება გაუწიოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რათა უმეტესი ეფექტიანობით გამოიყენონ თვითეული ჰექტარი მიწა, თვითეული მანქანა, თვითეული კილოგრამი საკვები და სასუქი;

კულტურისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში: უზრუნველყოს, რომ თვითეულმა მსმენელმა შეიმუშაოს პირადი შემოქმედებითი გეგმები და კონკრეტული ვალდებულებები მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, 1975 წელს საქართველოს მშრომელთა ვალდებულებების შესრულებაში პირადი წვლილის გადიდებისათვის.

ყველა პროპაგანდისტი და სემინარების ხელმძღვანელები პირადად უნდა თვლიდნენ თავს პასუხისმგებლად არა მარტო იმისათვის, რომ სემინარების მსმენელები და მონაწილეები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს, არამედ იმისთვისაც, რომ უთუოდ შეასრულონ ხუთწლედის ინდივიდუალური გეგმები.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მნიშვნელოვან მოძრაობას — დამრიგებლობას, რაც იდეური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. მეტად ღირსშესანიშნავია, რომ დამრიგებლობის მოძრაობა ჩაისახა მუშათა კლასის წიაღში. აქ გამოვლინდა ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი თვისება, რომელიც ორგანულად ახასიათებს მუშათა კლასს. ეს თვისებაა უანგარობა.

კომუნისტური ფორმაციის ადამიანის აღზრდის ნამდვილი ცენტრები ხდება შრომითი კოლექტივები. ამიტომ სწორედ ისინი უნდა იყონ დიდი პოლიტიკური შეგნებულობის, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის მქონენი, შეურიგებელი მებრძოლები მომხვეჭელობის, ლოთობის, ხულიგნობისა და სხვა იმ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებს საზოგადოებას. შრომითი კოლექტივები ყველა ჩვენი იდეოლოგიური ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი ასპარეზია, რომლებმაც თვითეულ ადამიანს უნდა ჩაუნერგონ იმის შეგნება, რომ იგი თანასწორუფლებიანია საზოგადოების სხვა წევრებთან, მუდამ შეუძლია იქონიოს სამართლიანი, პატივისცემითი დამოკიდებულების, სახელმწიფოს ზრუნვის, კოლექტივის დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინო აგიტაციას. უაღრესად ფართოა მისი ფრონტი — საწარმოთა საამქროებიდან, წითელი კუთხეებიდან, საველე ბანაკებიდან მოედნებამდე, ქუჩებამდე, საზოგადოებრივ შენობებამდე, დემონსტრანტთა საზეიმო კოლონებამდე, ხალხურ დღესასწაულობამდე. მას ზემოქმედების უაღრესად დიდი ძალა აქვს! საჭიროა შევუსაბამოთ იგი ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების თანამედროვე ეტაპის თავისებურებებს, და, რაც მთავარია, ავამაღლოთ მისი მნიშვნელობა და როლი მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების პროპაგანდაში, სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის ჩვენებაში, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვაში.

საჭიროა ძირეულად გარდავქმნათ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უფრო აქტიურად ჩავაბათ მასში შრომისა და ომის ვეტერანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ყოველნაირად შეეუწყოთ ხელი მუქთახორებისა და უსაქმურების გამოვლენას, ჩავაბათ ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

ყველა ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის მთელმა საზოგადოებრიობამ განუწყვეტლივ უნდა გააფართოონ და გააღრმაონ ამჟამად მიმდინარე პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავს ანტიასოციალურ მოვლენების, ცერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ფსიქოლოგიის, საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის ყოველი ღონისძიებით გაწმენდისა და გაჯანსაღებისათვის, დიდი პარტიული მომთხოვნელობისა და დისციპლინის ვითარების დამკვიდრებისათვის ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას.

გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან შემოქმედებითმა კავშირებმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დაწესებულებებმა, სასწავლებლებმა, ჩვენმა სპორტულმა კოლექტივებმა, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული თვითეულ შრომითს კოლექტივში, მთლიანად რესპუბლიკაში ხელშემწყობი ზნეობრივი კლიმატის შექმნა, თვითეული მშრომელისათვის პატრიოტიზმის, მოქალაქეობრიობისა და მუშის ღირსების გრძნობის ჩანერგვა.

1975 წლის 200 მილიონიანი ფონდის შექმნის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მათი ამოცანაა ყოველდღიურად, ყოველ საათში მკაფიოდ და ხატოვნად უჩვენონ წარმოების ნოვატორთა, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა, მუშათა, კოლმეურნეთა შრომითი ენთუზიაზმი, ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ მათს ნოვატორობას შრომაში, საყურადღებო გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს, მათს წარმატებებს ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა სწავლებასა და აღზრდაში; ყოველდღე თვალსაჩინოდ შეახსენონ მკითხველებს, ტელემაყურებლებსა და რადიომსმენელებს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის განვლილი დღეების შედეგები და დარჩენილი დღეების ამოცანები.

რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ახლანდელ ეტაპზე 1975 წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფის რთულ ჯაჭვში განსაკუთრებული ზრუნვის საგანია პარტიული კომიტეტების იდეოლოგიურ განყოფილებათა როლის ამაღლება. ვაღწევდეთ პროპაგანდისა და აგიტაციის ქმედითობას — ეს ნიშნავს ყოველი ღონისძიებით ვახალისებდეთ სასარგებლო ინიციატივასა და გამოცდილებას, გადაჭრით აღმოვფხვრიდეთ ზაბლონს, ანრის, ინერტულობას, მუშაობის მოძველებული ფორმებისა და მეთოდებისადმი მიდრეკილებას, პრინციპულად ვაკრიტიკებდეთ მედავითნეებსა და მოლაყბეებს, კუდაბზიკობისა და ტრაბახის გამოვლინებებს.

აღრიცხული უნდა გვქონდეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყოველი დღე. უკვე გავიდა 71 დღე — წინ არის 294. ყველა, ვინც მუშაობს დაზგასთან ან საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, ლაბორატორიებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ სასწავლებლებში, მეურნეობრივი და პოლიტიკური დაინტერესებით უნდა უწევდეს კონტროლს და აანალიზებდეს თავის საქმიანობას განვლილ დღეში, უნდა ჰქონდეს 1975 წლის მომავალი დღეების კონკრეტული გეგმები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი განვლილი და მომავალი დღე სულ უფრო მეტად გვინერგავდეს რწმენას და იმედს, რომ პარტიისათვის მიცემული სიტყვა წარმატებით სრულდება.

ამისათვის მოგვეპოვება ყველა სამეურნეო და პოლიტიკური შესაძლებლობა.

საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ აგრეთვე მიმდინარე წლის ყველა ხელსაყრელი შესაძლებლობა და თავისებურება, პარტიისა და ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღები და მოვლენები — საბჭოთა ხალხის პატრიოტული და პოლიტიკური აღმავლობის ნაცადი და მთელი სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობით შემოწმებული საიმედო სტიმულატორები.

საქმე ეხება აგრეთვე დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს. საბჭოთა საქართველოს თვითეული მშრომელის ვალია ააგოს შრომითი დიდების ძეგლები იმ ორასი ათასი გმირის ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც, იცავდნენ რა სოციალისტურ სამშობლოს ჩვენი დღევანდელი მშვიდობიანი ცხოვრების გულისათვის, გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

„შინმოუსვლელის მაგივრადაც...“ — ამ პატრიოტულმა მოძრაობამ მოიცვა ახლა საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ათასობით კოლექტივი და ამაში, ისე როგორც მზე ერთ წვეთ წყალში, აისახება სოციალისტური სახელმწიფოს თაობების მემკვიდრეობითობა. შრომითი კოლექტივები სიმბოლურად ჩარიცხავენ ხოლმე თავიანთ რიგებში დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან შინმოუსვლელ ქალაქვიელებსა და ჭაბუკებს და კისრულობენ ვალდებულებას იშრომონ მათ მაგივრად, გამოუშვან პროდუქცია მათ მაგივრად, როგორც ცოცხალი ამხანაგების მაგივრად: პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ ჩვენს ზნეობრივ კრიტერიუმად გამოაცხადა: ის, ვინც უხეიროდ მუშაობს, ვინც არ შრომობს მთელი ძალით, არ სცემს პატივს გმირთა ხსოვნას, ის არ არის ღირსი მათი დიდებისა, ხოლო ასეთ უპატივცემლობას ხალხი არ მოითმენს, არ დაუშვებს.

წლევანდელი წელი ქალის საერთაშორისო წელია. საბჭოთა ქალებს შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, კომუნისტური სულისკვეთებით ბავშვების აღზრდით ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საქმეში. საქართველოს მშრომელნი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ქალები, როგორც ყოველთვის, მოწინავე პოზიციებზე იქნებიან, წარმოებაში შრომას უნარიანად შეუხამებენ დედის მოვალეობებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის ახლანდელი წელი პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების წელია. ყრილობისათვის მზადება განსაზღვრავს მთელი ჩვენი საქმიანობის, მთელი ჩვენი მუშაობის, მთელი ჩვენი ცხოვრების შინაარსს, ხასიათსა და რიტმს.

ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ რა კომუნისტური პარტიის მეცნიერულად დასაბუთებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ და მიზანსწრაფულ საქმიანობას, საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან პარტიის გარშემო, დარაზმავენ თავიანთ ძალებს ახალი სასახელო საქმეებისათვის ნათელი კომუნისტური მომავლის მისაღწევად, კიდევ ერთხელ დაუმტკიცებენ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია.

დიახ, საქართველოს მშრომელებს გრანდიოზული და დაძაბული გეგმები აქვთ, მაგრამ ამ გეგმებს საფუძვლად უდევს რეალური გაანგარიშება, მოთხოვნილებების, რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. ახლა საქმე თვითეულ ჩვენგანზეა. თვითეულის წინაშეა საქმიანობის ფართო ასპარეზი, რათა გამოავლინოს მთელი თავისი უნარი, დაამტკიცოს თავისი ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ერთგულება საბჭოთა ხალხის სახელოვანი ტრადიციებისადმი, ქართველი ხალხის საუკუნეებში გამოვლილი საუკეთესო ტრადიციებისა და თვისებებისადმი, დაამტკიცოს, რომ მშვიდობიან დროსაც შეიძლება გამოიჩინოს გმირობა — ნამდვილად საბრძოლო გმირობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

მესრულების შემოწმება — წინსვლის გერკეტი

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქოკომიტეტის პლენუმზე

საქმიანი სჯა-ბაასი გამოიწვია საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელშიც განიხილა საკითხი „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები პარტიისა და მთავრობის დირექტივების, პარტიის საქალაქო კომიტეტის დადგენილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საქმეში“.

მომხსენებელი — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ხაბეიშვილი და კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს XIV პლენუმის შედეგები, გულოსწყრომით დაგმეს ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, ცალკეულ პირთა დანაშაულებრივი საქციელი. კრების მონაწილენი ქმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს პარტიულ ცხოვრებაში თანმიმდევრულად ხდება ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენა, უმჯობესდება და იხვეწება იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა.

ქალაქის ეკონომიკის განვითარების 1973 და 1974 წლების გეგმების წარმატებით შესრულებამ მნიშვნელოვნად დაიჩქარა მისი ზრდის ტემპები, შექმნა ხუთწლედის დასახული მიჯნების გადალახვის რეალური შესაძლებლობა.

გადაწყვეტილებათა მომზადების, შემუშავებისა და მიღების საქმეში საკუთარ და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების კონტროლსა და შემოწმებაში დადებითი შედეგები მოიპოვეს საავტომობილო, ლითოფონის, ელექტროშეკნილკური, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, რკინიგზის კვანძის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული კრებების მომზადება-მოწყობის დონე. კომუნისტთა ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა.

ამასთან პლენუმზე აღინიშნა, რომ ქალაქის ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები არ გვაძლევს თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლებას. ქალაქის ზოგ სამრეწველო საწარმოში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს, რის გამოც დაბალია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, წარმოების მოცულობის და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები. 1974 წელს, წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობა შეამცირეს ბამბეულის საქსოვმა გაერთიანებამ, რიონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადმა, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმომ. ზოგი კოლექტივი ჩამორჩება ხუთწლედით გათვალისწინებული საკონტროლო დავალებების შესრულებაში. მსუბუქი მრეწველობის ხუთმა საწარმომ ხუთწლედის განვლილ ოთხ წელწადში დაუშვა 56 მილიონი მანეთის გარღვევა. თერთმეტ საწარმოში არ არის ათვისებული სამძლავრეები ძირითადი სახეების მიხედვით, ბევრია სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის ფაქტები. ნაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობაში. გაუმჯობესებას მოითხოვს სატრანსპორტო ორგანიზაციათა საქმიანობა. დღემდე არ მომხდარა ძირეული გარდატეხა ქალაქის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. შესრულების პარტიულ არ გამხდარა ამ ორგანიზაციათა მუშაობის ძირითადი მეთოდი.

შესრულების კონტროლისა და შემოწმების საქმეში ჯერ კიდევ მთლიანად აღმოფხვრილი არ არის არაობიექტურობის და არაკონკრეტულობის დარღვევები. ხშირია ზერელე, ზოგადი. ზოგჯერ კი არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებათა მიღების ფაქტები. მის მომზადებაში ნაკლებად არიან ჩაბმული კომუნისტები და უპარტიო აქტივი.

მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს ქალაქის იდმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. შესრულების კონტროლისა და შემოწმების მასობრიობის ამაღლებაში ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების ფართო შესაძლებლობა. ამ საქმეში აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმისა და ზაბლონურობის ელემენტები, საკმარისი არ არის საჯაროობა, შედეგების შეადარობა.

მოხსენებით — სოფლისადმი ქალაქის სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ გაწეული საშეფო დახმარებისა და მომავალი ამოცანების შესახებ გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ფხაკაძე.

პლენუმმა დაამტკიცა პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის 1975 წლის პერსპექტიული გეგმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე.

დ. გედენიძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

დაგეგმვა — უმნიშვნელოვანესი რგოლი

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ძირეულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას მიეძღვნა საქართველოს სსრ საგეგმო ორგანოების მუშაკთა აქტივის კრება.

მოხსენება — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და ჩვენ“ — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფოსაგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ჯაფარიძემ.

აქტივის კრების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. პატარიძემ.

კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმას, თუ როგორ უზრუნველყოფენ საგეგმო ორგანოების მუშაკები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, საჭირო პროპორციების დაცვას, რა გავლენას ახდენს სწორი დაგეგმვა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ გაზრდილი მოთხოვნები სახელმწიფო დაგეგმვისადმი, რომელიც სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ცენტრალური რგოლია, მტკიცედ გვაკარნახებენ, რომ აუცილებელია ყოველნაირად ავამაღლოთ მთელი საგეგმო-ეკონომიური მუშაობის დონე. ამავე დროს რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის მართვის თანამედროვე მოთხოვნებს. ყველგან როდი აღწევენ იმ საკითხების მეცნიერულ, კომპლექსურ გადაჭრას, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის დარგობრივი განყოფილებანი, რომლებიც ძირითადად მხოლოდ ოდენობრივ მაჩვენებლებს აქცევენ ყურადღებას. მხედველობიდან უშვებენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

კრების მუშაობაში ფართოდ აისახა ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩვენი რესპუბლიკისთვის ისტორიული დადგენილების შესრულებასთან.

ძირეულად გავაუმჯობესოთ საყოფაცხოვრებო მომსახურება

გაიმართა რესპუბლიკის ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ვ. სომოღვის მოხსენებასა და კრების მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა, რომელმაც საფუძვლიანად გააანალიზა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საქმიანობა, განსაზღვრა ყოფა-ცხოვრების სამსახურის ძირეული გარდაქმნის გზები.

გარკვეული მუშაობა შესრულდა ყოფა-ცხოვრების სამსახურის საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის, ახალ სახეობათა მომსახურების დანერგვისათვის, მომსახურების ფორმების სრულყოფისათვის.

ამასთანავე პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თქვა, რომ სამინისტროს სისტემის სამმართველოები და ორგანიზაციები ნელა გარდაქმნიან მუშაობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად. საკმაოდ ენერგიულად არ იბრძვიან სახელმწიფო და შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევათა წინააღმდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 26 ნოემბრის დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საგეგმო დავალებანი ვერ შესრულდა ვერც 1974 წელს. 68 საქმეუწყებიო ორგანიზაციიდან გეგმა ვერ შესრულა 49 ორგანიზაციამ. 21 ძირითად სახეობათა მომსახურებიდან კი 16 სახეობის მომსახურებაში ვერ შესრულდა გეგმა. ცუდადაა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმე.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მეცხრე

1975 — ქალის საერთაშორისო წელი

იოსებ ნონეშვილი

დედას, დას, სატრფოს, ყველას...

ნეტავ რაც ია, ენძელა
მთებს შუქად გადაეფინა,
სულ თქვენთვის მომამეებინა,
სულ თქვენთვის დამაკრეფინა...
რომ მარად ჩვენზე მოფიცართ,
ჩვენზე ზრუნვაში მოუღლელთ
თქვენ მოგაყაროთ,
მოგიძღვნათ

დედას,
დას,
სატრფოს,
მეუღლეს!..

დედა შვილებზე მარადის
ტკბილ-მწარე ფიქრებს მოუცავს.
მას ერბო-კვერცხი რად უნდა
შვილმა ხელისგულს მოუწვას.
მას სადღეგრძელო კი არა,
მას დაფიცება კი არა,
კარგი შვილობა შვილისა,
კარგი ღიმილი შვილისა
მოურჩენს ყველა იარას.

...ნეტავ რაც ია, ენძელა
ველს შუქად გადაეფინა,
სულ თქვენთვის მოგვაძებინა,
სულ თქვენთვის დაგვაკრეფინა...
სატრფოს ფეხთ გაგვაგებინა
ვარსკვლავით სავსე შორი ცა...
ნეტავი გაგვაგებინა
წადილი გულის სწორისა.
ნეტავი მოგვაგებინა
კაცებს გულები ცოლისა.
...თქვენი ფიქრების შორი ცა
ახლოც არის და
შორიცა.

სულ საქმეში ხართ გართული
ჩვენო დებო და დედებო,
რომ მიწა-წყალი ქართული
აანთოთ, ააედემოთ.
კაბის კალთით გაქვთ გამთბარი
ველ-მინდვრები და გორები —
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი,
სათაყვან-საამბორები.
როცა სამშობლოს უჭირდა,
ქარიშხლად ამოვარდნილი,
ბრძოლებში დროშად გვეჭირა
თქვენი ნამუსის მანდილი.

გვესმის რვაასი წელია
(ნუ ჩაგვთვლიან ხადილად):
„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია“.
შრიალებს ყანად,
ვენახად
თქვენი ღიმილი ალალი,
თქვენ ხომ სოსელოს დედა ხართ,
დედა ხართ შოთას... თამარის...

ხამშობლოს ახლაც თქვენ უზრდით
გუთნისდედას თუ მშენებელს.
თქვენი ხელმადლით ფირუზით
იმოსებიან სერები.
თქვენი შუქმადლი ჰფენია
ვარსკვლავთმრიცხველს თუ
ხელოვანს.

თქვენია,
თქვენმიერია,
რაც კი რამ სასახელოა.

დედაშვილობამ,
მეტს არ გთხოვთ,
კვლავ ზარდეთ ბრძენიც,
მხედარიც...
მხნედ არის გული ხალხისა,
თუ თქვენი გული
მხნედ არის.

დედაშვილობამ,
მეტს არ გთხოვთ,
დაანარწივეთ მართფენი,
აკვანი ბევრი გვენახოს
და შვილმრავალი ქართველი.

...ნეტავ რაც ია, ენძელა
მთებს შუქად გადაეფინა,
სულ თქვენთვის მომამეებინა,
სულ თქვენთვის დამაკრეფინა.
დღეს თქვენი დღეა...
თუმც განა
ყველა დღე თქვენი არ არის?
მიიღეთ მამაკაცთაგან
კოცნა,
მოლოცვა,
სალამი!

* წაკითხულია 7 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში.

თეატრს — საკავშირო პრემია

ბათუმი. („კომ“. კორ.). ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის პ. ნ. დემიჩევის მისალოცი დეპეშა მიიღო. დეპეშაში ნათქვამია: „ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს ჯულიცავთ 1974 წლის მეორე ნახევრის შედეგების მიხედვით თეატრალურ-სანახაობით დაწესებულებების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე პრემიის მოპოვებას. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითი და საწარმოო ამოცანების შესრულებაში, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშნას, წლიური დავალებების ვადამდე უწრუნველყოფას...“

საკავშირო მესამე პრემია ბათუმის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივისათვის დიდი წარმატებაა. თეატრმა გასულ სეზონში გეგმური ექვსის ნაცვლად რვა სპექტაკლი დადგა, მათ შორის ხუთი — თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე.

ვ. ი. კიკვიძის დაბადების 80 წლისთავისათვის

ვ. ი. კიკვიძის მუზეუმში

ხალხის წიაღიდან გამოდიან ნიჭიერი მეთაურები. აი, მაგალითად, კიკვიძე, მამაცი, ჭკვიანი მეთაური — ვ. ი. ლენინის „ამ სიტყვებით ეგებება მრავალ დაძთვალიერებელს ვ. ი. კიკვიძის მემორიალური მუზეუმი, რომელიც მოწყობილია თბილისის უდიდეს სამრეწველო ცენტრში — ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონში. იგი ლენინდარული დივიზიის უფროსის, სამოქალაქო ომის გმირის — ვ. კიკვიძის დაბადების 80 წლისთავისათვის მზადების დღეებში შეივსო ახალი ექსპონატებით.

ცენტრალურ სტენდზეა გ. კ. ორჯონიკიძის „სტატიები და სიტყვები“, რომლებშიც მაღალი შეფასება ეძლევა ვ. კიკვიძის საქმიანობას. აქვეა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ირეშაძის დოკუმენტურ-მხატვრული მოთხრობა „ცოცხალი ლეგენდა“, დ. კორნეევის მოხოგრაფია „რევოლუცია თერგზე“. გამოფენის განყოფილებაში „ცისი ხაოვნა უკვდავია“ წარმოდგენილია სამოქალაქო ომის მონაწილეების: კიკვიძის დივიზიის ტამბოვის მე-5 პოლკის ყოფილი სამხედრო კომისრის, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის ი. ბუხუგლის, ამ პოლკის ადიუტანტის, გადამდგარი გენერალ-ძაიორის ი. იკოხიკოვის, აგრეთვე კიკვიძეულების — ამეკამად პერსონალური პენსიონერების ვოლგოგრადელი ცოლქმრის მ. სლანსკაიასა და პ. ზუბკოვის მოგონებანი „წითელი გენერლის“ კიკვიძის შესახებ.

თავიანთი ცხოვრების ყველაზე ნათელ ფურცლად კიკვიძეულს სამართლიანად მიაჩნიათ 1918 წლის 10 მაისი, როცა ვ. კიკვიძე შეხვდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. საოცარი იყო, წერს ი. ბუხუგლი, ეს შეხვედრა! მიესალმა რა კიკვიძეს, ვლადიმერ ილიას-ძემ, დაიწყო საფუძვლიანი გამოკითხვა მისი საბრძოლო მოქმედებისა უკრაინაში, ურჩია ჯარისკაცები აღეზარდა ამხანაგური დისციპლინის სულისკვეთებით, დასმარებოდა პოლიტმუშაკებს და თვითონ ესმაოდა სამხედრო თეორია სპეციალისტებისაკან, რადგან საკუთარი გამოცდილება არ კმარა.

— ვ. კიკვიძის დაბადების 80 წლისთავის წინ, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მეორე მდივანმა ქ. ლაცაბიძემ, — მუზეუმში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, სკოლებში ეწყობა საუბრები და ლექციები თემებზე „სამოქალაქო ომის გმირის ვ. კიკვიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ვ. ი. ლენინი კიკვიძის შესახებ“, „კიკვიძეული 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ფრონტებზე“ და სხვ.

(საქინფორმი).

მეცნიერება იმორჩილებს

იერიში ჭექა-ქუხილის წინააღმდეგ

საბჭოთა მეცნიერებმა დაადგინეს ჭექა-ქუხილის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების პრინციპული შესაძლებლობა. თურმე, ქეთა ღრუბლები დიდი ხნით ადრე, სანამ ჭექა-ქუხილის ღრუბლებად ვადაიქცეოდნენ, იწყებენ თავისებური სიგნალების — ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივებას სიხშირეთა ფართო დიაპაზონით. ამ გამოსხივებას, ღრუბლების განვითარების პროცესში შეცვლის კვალობაზე სპეციალისტები უკვე აკვირდებიან სპეციალური აპარატურის საშუალებით.

ღრუბლების ჭექა-ქუხილისწინა რადიოგამოსხივების მახასიათებლების ცოდნა დიდ შესაძლებლობებს ქმნის როგორც თვით ჭექა-ქუხილის, ისე სეტყვის განვითარების პროცესების დაკვნოზისა და პროგნოზისათვის. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ უკვე ახლა ატმოსფეროს რადიოლოკაციური ზონდირების თანამედროვე საშუალებებით შესაძლებელია დიდი სიზუსტით განვსაზღვროთ ატმოსფეროში ჭექა-ქუხილის კერების განლაგების კორდინატები და სტრუქტურა.

ლენინგრადის ჰიდრომეტეოროლოგიური და ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტებთა ამ ერთობლივ კვლევის შედეგებზე თბილისში გამართულ სემინარზე, რომელიც მიეძღვნა ატმოსფეროს ფიზიკის საკითხებს, ილაპარაკა პროფესორმა ლ. კაჩურინმა.

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის გეოფიზიკის ინსტიტუტში, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ქვეყნის მთელ რიგ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში შექმნილია ჭექა-ქუხილის პროცესებზე ზემოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბ. ბალავაძემ — აქ შემუშავებულია სეტყვის კერების ამმოწენის ხერხები და ორუბლებში ქიმიური რეაგენტების შეტანის სპუალებები, ნაპოვნია მათი ახალი შედგენილობანი, რომელებსაც მაღალი აქტივობა ახასიათებთ. ამ მიღწევათა საფუძველზე საბჭოთა კავშირში მსოფლიოში პირველად მოეწყო მნიშვნელოვან ტერიტორიებზე სეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეფექტიანი დაცვა. ეს გამოცდილება გამოიყენეს უნგრეთსა და ბულგარეთში სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურების შესაქმნელად.

გამარჯვების ზეიმს მიეძღვნა

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

ორ დღეს გრძელდებოდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექტორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მოწვიეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობითი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის ხელმძღვანელობამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციამ.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგოხიამ.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის გ. ბედნიენშვილის მოხსენება „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური პრობლემები თანამედროვე პირობებში“, ა. ავერჩიკის მოხსენება „კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, ნ. ჩებიკინის მოხსენება „ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შემდგომი ამოცანები და საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება“, საქართველოს სსრ არმის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობითი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, გადამდგარი პოლკოვნიკის ს. აბულაძის მოხსენება „არმის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობითი საზოგადოების ამაღლება“, საქართველოს სსრ არმის, ავიაციისა და ფლოტის ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორ-მეთოდისტ ალ. ბაბაევის მოხსენება „ლენინური ეროვნული პოლიტიკა — ჩვენი ძალის საფუძველი“, ინჟინერ-პოლკოვნიკ ბ. ბალავაძის მოხსენება „ატომური ბომბი“, ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ბალავაძის ინსტიტუტის ინსტიტუტის ინსტიტუტის ინსტიტუტ ... ...

პლასტიკის სიმფონია

□

მერაბ ბერძენიშვილი — შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი

□

ჩვენი დროის გამოჩენილ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს რუსთაველის პრემიის ლაურეატის სპატიო წოდება მიენიჭა, ეს ფრიად მისასალმებელი მოვლენაა. რუსთაველის პრემიის ლაურეატის წოდება სწორედ ესოდენ დიდი დიაპაზონისა და მასშტაბის ხელოვანმა უნდა იტაროს.

მერაბ ბერძენიშვილი ეკუთვნის იმ მოქანდაკეთა რიცხვს, რომლებმაც ღრმად აითვისეს ანტიკური საყაყარისი, რენესანსისა და ბაროკოს უმდიდრესი ტრადიციები, თავისად აქციეს თანამედროვე პლასტიკური ენოვნების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები, მაგრამ არცერთი ეპოქის ტყვეობაში არ მოქცეულან. ჭეშმარიტად ორიგინალურად მოაზროვნე ხელოვანისათვის წარსულის მემკვიდრეობას, არსებითად, მოქნილი ინსტრუმენტის მნიშვნელობა ეძლევა თანამედროვე მხატვრულ-იდეების განხორციელებაში.

ცნობილია, რომ ქართული საგზოთა ქანდაკება ჩვენი ეპოქის პლასტიკური ხელოვნების განვითარების წინა რიგებში დგას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დარგმა ასეთი აღორძინებას მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიაღწია, ასეთი ტემპის ახსნა გაჭირდებოდა, თუ იმასაც არ გავითვალისწინებდით, რომ ყოველივე ამას წინ უძღოდა ქართული მხატვრული აზროვნების რამდენიმე ათეული საუკუნის ტრადიციები. ქართულმა პლასტიკურმა ხელოვნებამ მსოფლიო კულტურის საგანძურს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქიდან დაუტოვა ისეთი ქმნილებები, რომელთა შემწეობითაც შესანიშნავად ხერხდება საკაცობრიო კულტურის უმორეს გზათა გათვალისწინება. ჩვენი წელთაღრიცხვის უღელტეხილიდან შემორჩენილია ე. წ. „ცვირე ქანდაკების“, მათ შორის ინდივიდუალური პორტრეტის იშვიათი ღირსების ქმნილებები. შუა საუკუნეების მანძილზე კი ეკლესიის დევნის შედეგად პლასტიკური აზროვნება მხოლოდ ბარელიეფსა და განსაკუთრებით ჩუქურთმის სფეროში გაიშალა. ყოველივე ეს იმ ძალოვან ფესვებად იქცა, რაზეც აღმართა აღორძინებული საბჭოთა ქართული ქანდაკება.

მერაბ ბერძენიშვილი დიდი გრძნობის, დიდი ემოციის ხელოვანია. მისთვის არ არსებობს მხატვრიული, აღრეული გამოძუშავებული და ყველასათვის წინასწარვე ცნობილი, „გაცვეთილი“ პლასტიკური იდეები და ფორმები. იგი მათ თვითონ მოიპოვებს ხოლმე იმისდაკვალად, თუ მის წინაშე როდის რა საზოგადოებრივად აქტიურებული იდეა წარმოსდგება.

ეს ეროსა და იმავე დროს შეუძლია უნაზესი ღიმილით შემგებელი „მუზაც“ განასახიეროს და მტრების წინააღმდეგ განრისხებული გიორგი საკაძეც. ბედით განაწამები დაეთი გურამიშვილიც და შერასძიებით აღზევებული „მედეაც“, ბაგრან განურჩევლად იმისა. თუ ოსტატს თავისი ყურადღება რა თემაზე მიუჩერებია, იგი მუდამ და ყველგან ქართული პლასტიკური ხელოვნების ტიპიური წარმომადგენელი რჩება.

მერაბ ბერძენიშვილი ერთი იმათგანია, ვისაც, მაქსიმ გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხატვრული გადაკვარბება“ ახასიათებს. იგი არ ეშორჩილება საგნების მზამზარეულ პროპორციებს. პირიქით, ასხვაფერებს ისე, რომ ესა თუ ის იდეა მკაფიოდ გამოათქვეინოს. თბილისში ფილარმონიის წინ აღმართულ „მუზას“ არაფერი საერთო არა აქვს ანტიკური ღვთაებების, ან რენესანსის მადონათა იდეალიზებულ ფიგურებთან. იგი ბუნებრივი, ხორციელი ცხოვრებისა და სილამაზის პოეტურად ტრანსფორმირებული ქმნილებაა, მას თავისი მეტად ძლიერი მკლავებით თეატრალური ნიღბების ასხმელი უპირავს და მრავალრიცხოვან მაყურებელს ხელოვნების დიდი მოსაკალის სიმბოლოებში ეგებება. მასში ვერაფერს ვერ ნახავთ ისეთს, რომ ანტიკური ან რენესანსული კლასიკის ღვთაებრივი სიცივე და მიუკარებლობა გაგრძნობინოთ. პირიქით, იგი სისხლსავსე, უაღრესად თანამედროვე და მახლობელია.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მ. ბერძენიშვილია „მედეა“ შავი ზღვის სანაპიროზე — ბიჭვინთაში. იგი ბრინჯაოში ეულკანური ენებების განსახიერებაა. ტანით ზღვისკენ მჯდომარე, მკერდით კი შვილებისკენ ძლიერ შემობრუნებული გიგანტური მედეა, აფრაილებული თავშალითა და აზვირთებული პოპორციებით ისე ბატონობს სანაპიროზე, თითქოს ადამიანის განსახიერება კი არა, ოლიმპიური არსება იყოს.

მ. ბერძენიშვილის უკვე აღიარებულ ნაწარმოებებს შორის საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული ქალაქ კასპის ცენტრში აღმართულ გიორგი საკაძის მონუმენტს.

სამშობლოს ინტერესებისათვის პირადი ბედნიერების შეწირვის ტრაგიკული ფურცლები, დიდი სარდლის — გიორგი საკაძის სახელთან დაკავშირებული, მოქანდაკემ იშვიათი შინაგანი ექსპრესიით გადაწყვიტა. ეს ძველი ამა ჰგავს მსოფლიოში სახელმოხვეჭილ იმ ცხენოსან ქანდაკებებს, რომლებშიც ცხენი წყნარად მოაროვნია თუ ყალყზე შემდგარი ჩვეულებრივ სწორხაზობრივ მოძრაობაშია. აქ იგი ბრძოლის ექსტაზშია მკვეთრი კონტრასტული პლასტიკური მოტივებით: მხედარსა ღა ცხენსაც ყურადღება გვერდიდან ქომდგარი მტრისკენ გადაქცევთ და პოპულარული გვერდითი ხედვის ნაცვლად, ცხენის მოოლოდნელი მოტრიალების ნიუანსში, ხედვის მრავალი წერტილი ჩქმნება.

ავტორმა განზრახ უარყო ქრისტეფორე კასტელის პორტრეტის მიხედვით დაკვიდრებული ფორმოდგენა საკაძის სახისა. მან პორტრეტულ გაზრებას ალეგორიული ელვა ჩაჰნა. ბრძოლის ყინმორეულ ყალზე აღსამართავად მიზიდულ ცხენზე კაც-არწივი მოტრიალებულა. ბოდამორეული და ამაყი, „ზომოდ“ გრძელ ხმალს საბრძოლველად იძრობს.

ხელოვნების ჭეშმარიტად დიდი ქმნილება უსათუოდ ემოციურ მახვილს უნდა შეიცავდეს. მით უფრო ესოდენ ღრმა ფსიქოლოგიური ამოცანების ხორცშესხმაში. მხოლოდ ძველი ბერძნები იცავდნენ სხეულის ყოველ ნაწილს „ეტყუარი სიზუსტით“, რადგან ისინი ღვთაებრივი სიმშვენიერის ფსიქოლოგიით იფარგლებოდნენ. მე-16 საუკუნის იტალიის ეროვნულმა და სოციალურმა კრიზისმა მიქელანჯელოს დაარღვევინა ტრადიციული „ზომიერების“, ნორმები ტა სათავე დაედო კაპიტალიზმის ეპოქის შინაგანი წინააღმდეგობებით გამოწვეულ სულიერ ბორგვას, რამაც ესოდენ მკაფიო გამოხატულება როდენის „ბალზაკის“ ფსიქოლოგიურ-პლასტიკურ გადაწყვეტაში ჰპოვა. ჩვენს დროში, ხელოვნება კიდევაც უფრო იმპულსური და მასშტაბური კონტრასტებისაკენ ლტოლვით ხასიათდება. იგი მოვლენების გარეგნულ გულუბრყვილო განმარტებებით ვეღარ კმაყოფილდება და არსში წვდომით მიიმართება. არსში წვდომის ტენდენცია ხელოვანისაგან მოითხოვს გარეგნულად უტყვი საგნების ამეტყველებას, მასში ჭეშმარიტ იდეურ ჩარევას, საგნის თამამ მხატვრულ ტრანსფორმაციას, რათა ინერტიული საგნები ენერგიულად ალაპარაკოს კაცობრიობის საბრძოლო ამოცანების შესახებ.

მერაბ ბერძენიშვილი სწორედ ერთი იმ ხელოვანთაგანია, რომელიც საგნებით ცნობიერად თუ ინტუიციით საგნების მხატვრულ ტრანსფორმაციას ეპოქის მდელვარე მაჯისცემის შესაბამისად ახდენს.

სწორედ ამიტომ არის ასე შთამბეჭდავი მისი თვითეული ნაწარმოები. სწორედ ამიტომ არის ასე გოლიათური მისი „მედეა“. ამიტომვეა მისი საკაძე ასე დაშორებული კასტელის მიერ შესრულებულ გიორგი საკაძის პორტრეტს.

ასე ბოლმით დაჩიმულ კისერს, როგორიც საკაძეს აქვს და მტრის დასაგლეჯად ასე გახელებულ ცხენს, ან ასე გრძელ ხმალს ემპირიულ სინამდვილეში ვერ ნახავ. მაგრამ ეს არის სწორედ ის დეტალები, რომლებიც ემოციური მახვილის, „გაშიზიანებელ“ ფუნქციას ახორციელებენ. ფაფარაყრილი და მტრის გასთელად გაშმაგებული ცხენი, თავის თავში დაჯერებული და ამაყად შუბლწამოწეული მხედარი, ქარისაგან გაზდუული თმა, ვერტიკალურად აღმართული კაცისა და ცხენისაღმი კონტრასტულ ჰორიზონტალში გადამკვეთი ხმლის მოტივი, — ყოველივე ამას და ცხენის ოდნავ „გრეხილი“ მოძრაობით შექმნილი დინამიკას, მაყურებელი ისეთ ექსტაზში შეჰყავს, რომ ავიწყდება მის წინ ცივი ბრინჯაო. ასეთივე გრძნობა ეპადება თვითეულ ჩვენგანს „მედეას“ გოლიათური სულის აღქმის დროს. აფორიაქებული მაყურებელი სრულიად სწყდება რეალურ სიტუაციას, ფაქტს, რომ მის წინ ლითონის უგრძნობელი მასაა, და გადადის ამაღლებულის განცდებში, რისი გამოწვევაც მხოლოდ დიდ ხელოვნებას შეუძლია.

ოთარ ფირალიშვილი.

• • •

სურათზე: *გიორგი საკაძის მონუმენტი კახეთში.*



ასეთი იქნება ახალციხის კომპლექსი

საქართველოს კურორტების დაპროექტებისა და განაშენიანების საკითხებზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა „საკურორტპროექტის“ ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება, რომელიც თავისი არსებობის 10 წლისთავს აღნიშნავს.

ამ ხნის მანძილზე ქართველმა არქიტექტორებმა დააპროექტეს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების კომპლექსები, რომლებსაც 13 ათასი საწოლი აქვთ. ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს საბაბაზანო შენობებისა და ტალახით სამკურნალო ნაგებობების მთელი რიგი პროექტები. საქართველოს სხვა კურორტებთან ერთად არქიტექტორთა ყურადღების ცენტრშია კურორტი ახტალა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა და მცირე არქიტექტურული ფორმების მშენებლობა.

ახტალას დიდი მომავალი აქვს. არქიტექტორები ამჟამად ამუშავებენ ახტალის ტალახით სამკურნალო საბაბაზანოს კომპლექსის პროექტებს, რომლებიც უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს. ახტალის სანატორიუმი კომპლექსი ორიგინალური იქნება.

სურათებზე: *ზემოთ (მარცხნიდან) — № 2 არქიტექტურულ-საგეგმარო სახელოსნოს უფროსი არქიტექტორი, კურორტ ახტალის სანატორიუმი კომპლექსის ავტორი ი. სანიკიძე, სახელოსნოს ხელმძღვანელი მ. ჩხენკელი და არქიტექტორი გ. სარაჯიშვილი ბანიხილავენ კომპლექსის მაკეტს; ქვემოთ — ასეთი იქნება ახტალის ახალი არქიტექტურული კომპლექსი.*

ა. რუხაძის და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ხილდომ მეომარი მონახა

ბათუმი. (საკ. კორ.). 42-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მამაც მზვერავთა ერთი ჯგუფი საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაემართა. ჯგუფში იყო ბათუმელი მიხეილ შეშელიძე. მათ მდინარე უნდა გადაელახათ და მტრის ზურგი დაეზვერათ. ეს მოხდა 1944 წელს. მაშინ ჩვენი არმიის ძლევამოსილი შეტევის შედეგად მტერი უკან იხევდა.

მზვერავთა ჯგუფს ერთ-ერთ პლაცდარმზე მოწინააღმდეგის ქარბ ძალებთან გაფთრებული ბრძოლის გაჩაღება მოუხდა. ამ ბრძოლაში მ. შეშელიძე მძიმედ დაიჭრა, იგი გონს ჰოსპიტალში მოვიდა. მალე ცნობილი გახდა, რომ იმ ჯგუფის ყველა მებრძოლი, რომელშიც მიხეილი იყო, ორდენებით დაჯილდოვეს.

გამოჯანმრთელებული მიხეილი კვლავ მწყობრში ჩადგა. გაძარცვების დღემ მას ვენაში მოუსწრო. ომგადახდილი მეომარი ისე დაბრუნდა შინ, რომ დამსახურებული ჯილდო არ მიუღია.

და აი 30 წლის შემდეგ ჯილდომ მეომარი მონახა. ახლახან აჭარის სამხედრო კომისარმა, პოლკოვნიკმა რ. ართმელაძემ მიხეილ შეშელიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა შეუპოვარი ბრძოლებით დამსახურებული „დიდების“ მესამე ხარისხის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“.

ახალი ტურისტული სეზონი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ტურისტულ ბაზებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შარშანდელი შედეგების მიხედვით სოხუმის ტურბაზა მეორე ადგილზე გამოვიდა. შარშან აქ მომსახურება გაუწიეს 14 თასზე მეტ ტურისტს. მნიშვნელოვნად ამაღლდა სტუმართა მომსახურების კულტურა, გაფართოვდა მარშრუტების ქსელი.

ტურბაზის მუშაკები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მაღლობის მრავალ წერილს იღებენ. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ტურისტული სეზონი კვლავ განახლდა. აქ პირველი ტურისტები ჩამოვიდნენ. ამჟამად სოხუმის ტურბაზაში ისვენებს სამასზე მეტი სტუმარი ვოლგოგრადიდან, ყაზანიდან, იაროსლავლიდან.

პრემიერა გორის თეატრში

გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებელმა ნახა პრემიერა — ლეგან მილორავის რომანტიკული დრამა „უკანასკნელი იფარიეზ“. სპექტაკლი დადგეს რეჟისორებმა საქართველოს სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ და თ. მესხმა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის რუსუბლიკის დამსახურებულ მხატვარს შ. ხუციშვილს, მუსიკალური — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ბობოხიძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ზალდასტანიშვილი, გ. დეხისაშვილი; ა. ლელაშვილი, ე. ბრაქელოკი, ვ. კახნიაშვილი, ვ. მარხაგიშვილი, ს. ტატალაშვილი, ლ. მცხეთელი, ს. ბერქერავი, მსახიობები ე. დადიანი, ო. დათუნაშვილი, ლ. ონინიშვილი, ე. მოციქულაშვილი, ვ. ხაჩიძე, თ. რევაზიშვილი, კ. გაბეშია, ბ. ლოლაძე და სხვ. („კომუნისტის“ კორ.).

დაწვას გადაარჩინეს...

თელავის რაიონის სოფელ ლეჩურში მცხოვრებ პ. ბარნაშვილს ავტომანქანა გარაჟიდან გამოჰყავდა. ავტომანქანიდან გამონაბოლქვი ნაპერწკლები იქცე მდგომ ბენზინის ჭურჭელში ჩაცვივდა და ხანძარი გაჩინა.

ხანძარი პირველმა ლ. ნიბლოშვილმა შენიშნა, სასწრაფოდ მიეშველა მეზობელს და თან სოფელს მოუხმო. მალე ხალხი შეიყარა და ხანძრის ჩაქრობას შეუდგნენ. გამოძახებულმა სახანძრო რაზმის მანქანამაც არ დააგვიანა და ერთობლივი ძალით გარაჟი და სახლი დაწვას გადაარჩინეს.

ჟ. ციხისთავი.

ეჭიმთა ბრიგადა მთაში

ონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მაღალმთიან სოფელ სრხს ეჭიმთა ბრიგადა ეწვია. საკოლმეურნეო კულტურის სახლში მოეწყო სამედიცინო საკითხებისადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი.

ეჭიმებმა უპასუხეს მშრომელთა შეკითხვებს, ყურადღება გაამახვილეს ავადმყოფობათა პროფილაქტიკის პრობლემებზე.

მგლებზე მონადირენი

მესტია. (საკ. კორ.). მესტიის რაიასბჭოს აღმასკომის მძღოლი შოთა გაბულდანი ღამით მესტიაში ბრუნდებოდა. ცხუმარის გადასახვევთან მგლის ხროვა შენიშნა, მაგრამ როდი დაიბნა. დიდთოვლიან ციცაბო გზაზე სამმაგულო მარკის „ვოლისონ“ დაერია მტაცებლებს. 8 მგლიდან სამს მანქანა ზედიზედ ეძგერა. ერთი მათგანი უსულოდ დაეცა, ფერდებ-ჩალეწილი 2 მგელი ტყისკენ გაფოფხდა, 5 კი ადრევე გაუჩინარდა.

წელს მესტიაში დიდი თოვლი მოვიდა. მტაცებლები მთიდან ბარად ჩამოვიდნენ და შინაური ცხოველებს მუსრს აელებდნენ, მაგრამ მონადირეები მხეცებზე უშიშრად ნადირობდნენ. სოფელ ნაკრის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ დაეით გვარმიანმა ხაფანგით 2 მგელი დაიჭირა. ასეთი შემთხვევები სხვა სოფლებშიც იყო.

სოზარ ნიგურიანმა მესტიიდან 15 კილომეტრზე ფოცხვერის კვალი შენიშნა. რომელსაც მგლის ხაფანგი დაუგო. მახეში გაბმულ მტაცებელს მოეგლიჯა იგი და გაქცეულიყო. ს. ნიგურიანმა ხაფანგს ადგილი გამოუცვალა. ფოცხვერი მეორედ გაება მახეში, მაგრამ კვლავ მოეგლიჯა ხაფანგი. მონადირე კვალს გაედევნა. ამჯერად დაინახა მხეცი ხაფანგს მიათრევდა. მონადირემ თოფი დაახალა ნადირს, დაჭრილი ფოცხვერი ადგილს მოსწყდა და ს. ნიგურიანისკენ ისკუპა, მაგრამ მამაცმა მონადირემ მეორე გასროლით მტაცებელი სიცოცხლეს გამოასალმა. ფოცხვერი 45 კილოგრამს იწონის და სიგრძით ერთი მეტრია.

ამ შემთხვევებს აგვიწერს მესტიის რაიონული გაზეთი „ახალი სვანეთი“.

პრეზიდენტთა ფინალური მატჩი

მაშ ასე: ნანა ალექსანდრია!

გუშინ მოსკოვში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინას ფინალური მატჩის მეხვიდმეტე პარტია. თეთრებით თამაშობდა ქართველი მოჭადრაკე.

მეტოქეებმა გაითამაშეს სიცილიური დაცვის ვარიანტი, რომელშიც ალექსანდრიამ უპირატესობა მოიპოვა. ლევიტინა ცაიტნოტში მოექცა და 36-ე სვლაზე დანებდა.

ამრიგად, დაძაბული ორთაბრძოლა 17 პარტიიდან დამთავრდა ქართველი მოჭადრაკის გამარჯვებით — 9:8.

□

ნანა ალექსანდრია მსოფლიოს ჩემპიონობის საპატიო სახელის მოსაპოვებლად ახლა შეხვდება „ჰადრაკის დედოფალს“ ნონა გაფრინდაშვილს.

ამ ორი შესანიშნავი მოჭადრაკის ორთაბრძოლა გაიმართება მომდინარე წლის შემოდგომაზე.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

მაძლეულნობა. ერეგანში დამთავრდა საკავშირო პირველობა სოფლის სპორტსმენთა შორის. პირველ ადგილებზე გამოვიდნენ საქართველოს მძლეოსნები მ. ტატევოსიანი (ჯოკით ხტომა — 5 მეტრი და 10 სანტიმეტრი) და ს. ხოვოსელოვა (შუბის ტყორცნა — 47 მეტრი და 94 სანტიმეტრი). ვ. ქავთარაძემ 100 მეტრზე სირბილში მეორე შედეგი აჩვენა — 10,9 წამი, ხოლო 200 მეტრზე თ. ჩიტაძე მესამე იყო.

ცურვა. დნეპროძერჟინსკში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო ზოგადსაგანმანათლებლო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე პროფესიათშორისა სპორტსმენებს შორის. კარგად იასპარეზეს „განთიადის“ მცურავებმა, რომლებმაც 12 პირველი ადგილი და გუნდური გამარჯვება მოიპოვეს.

ფარიკაობა. თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური შერჩევითი ტურნირი. აი ვინ მოიგო პირველობა ცალკეული იარაღებით: ქალებში — დალი ბუხრაშვილმა, ვაჟებში ხმლით — თემურ ბობოხიძემ, დაშნით — გიორგი ზურაბიშვილმა, რაპირით — ტრისტან ნოზაძემ.

ცხაკ-ს მოფარიკაკეებმა საფრანგეთის დედაქალაქში მოიპოვეს ევროპის თასი. ჩვენმა სპორტსმენებმა ფინალში მოუგეს საფრანგეთის კლუბ „მილუნს“.

ჰოკეი. სსრ კავშირის ნაკრებმა ბონში გამართულ ამხანაგურ მატჩში მოუგო გფრ-ის გუნდს — 13:2.

ჭიკი ბურთით. მოსკოვის დინამოელებმა ვადამდე (ოთხი ტურით ადრე) მოიპოვეს საჭოთა კავშირის პირველობა. მეორე ადგილზე გამოვიდა ალმა-ათის „დინამო“, მესამეზე — სვერდლოვსკის სკა.

ველოსპორტი. ლენინაბადში დამთავრდა სსრ კავშირის ზამთრის მესამე ჩემპიონატი ექვსდღიან ჯგუფურ ველორბოლაში ტრეკზე. ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოველმა ალექსანდრე არონოვმა, მეორე იყო კიეველი ბრონისლავ ტაბელიანისი, მესამე — ალმაათელი პავლე დენისოვი.

ხოხლიკამურები. საქართველოს სათხილამურო სპორტის ისტორიაში პირველად ქვეყნის პროფკავშირულ სპორტსმენთა ნაკრებში შეყვანილია ქართველი მრბოლელი მთიხილამურე. ეს არის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი, 21 წლის ნანა ბაღაშვილი.

საბჭოთა მოჭადრაკემების დიადწერილი

საბჭოთა გროსმაისტერების ჯგუფმა — მსოფლიოს ექა-ჩემპიონატბა ტ. პეტროსიანმა და მ. ტალმა, ე. გელერამ, ვ. კორჩნოიმ, გ. კუზმინმა, ლ. პოლუგაევსკიმ, აგრეთვე საერთაშორისო ოსტატმა ა. ბელიავსკიმ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას (ფიდე-ს) გაუგზავნეს ღია წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფიდე სხვადასხვა ნაკლებად დამაჯერებელი საბაბით უკვე ოერადაღეიჯერ ივიწყებს იმ ობიექტურ პროფესიებსა და კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ოფიციალური შეჯიბრებები მოწყობისას. აი ახლაც ფიდე იწვევს საგანგებო კონგრესს ნიდერლანდში, სადაც, ორგანიზატორთა იდეით, უნდა გადაინაცვლოს გადაწყვეტილება ესოფლიოს პირველობაზე ფინალური შეხვედრის რეგლამენტის შესახებ, რათა „რ. ფიშერისა და ა. კარპოვის მატჩის გადასარჩენად“ უზრუნველყონ ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონისათვის უპირატესი პირობა და სტარტისწინა ორკულიანი ფორა.

წერილში ხაზგასმულია, რომ ასეთი მიკერძოებული დამოკიდებულება მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტისადმი, საბჭოთა მოჭადრაკეების აზრით, მათი და მსოფლიოში ყველაზე დიდი, ოთხმილიონიანი საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციის უპატივცემლობაა. რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ფიდე-ს ავტორიტეტის განმტკიცებისათვის.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია, აღნიშნავენ წერილის ავტორები, ემზადება იმისათვის, რომ მთელი თავისი 50 წლის ისტორიის მანძილზე შეიძლება ითქვას, ყველაზე აღმაშფოთებელად დაარღვიოს ფიდე-ს ფუძემდებელი პრინციპი: „ჩვენ ყველანი ერთი ოჯახი ვართ“. „მოურიდებლად ავიწროვებს რა თავისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს და დაუსრულებლივ ელაქუცება მეორე წევრს, — ნათქვამია წერილში, — ფიდე-ს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ წამყვანი გროსმაისტერები გულგრილად მოეკიდებიან ამგვარ ტენდენციურობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვითნებობას“. „ფიდე-ს ხელმძღვანელობის ასეთი საძრახისი მოქმედება, წამყვანი საბჭოთა გროსმაისტერების ჯგუფის აზრით, — აიძულებს მოჭადრაკეებს გადასნაონ თავიანთი დამოკიდებულება სხვადასხვა ოფიციალური შეჯიბრებისადმი, პირადი და გუნდური პირველობებისადმი, რომლებიც ფიდე-ს ეგიდით ეწყობა“.

(საკდეტი).

ქალაქთაშორისი

განმეორებითი მატჩი

გუშინ მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ შორის.

ანგარიშით 114:99 (59:43) გაიმარჯვეს არმიელებმა.

მომდევნო მატჩებს თბილისის „დინამო“ ამ თვეში გამართავს თავის მოედანზე: 17-18 მარტს — ლენინგრადის „სპარტაკთან“, 26-27 მარტს — ტარტუს „კალევთან“ და 29-30 მარტს — სვერდლოვსკის „ურალმაშთან“.

□

ფიგურული სრიალი

ჩემპიონებს — ოვაციები

კოლორადო სპრინგსი. „ბროდმორის“ დარბაზში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. მაყურებლებით გაჭედილი დარბაზი მხურვალე ოვაციებით ხვდებოდა ფიგურისტების საჩვენებელ გამოსვლებს. მსოფლიოს ძლიერ ქვეყანათა ამ მშვენიერი სპორტის სახეობის მოყვარულნი ტელევიზიის საშუალებით უყურებდნენ „ვარსკვლავთა აღლუმს“. ყინულზე თავიანთი ვირტუოზული ხელოვნება კვლავ აჩვენეს ჩვენმა მსოფლიოს ჩემპიონებმა ირინე როდნინამ და ალექსანდრე ზაიცევმა, ირინე მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა, სერგეი ვოლკოვმა, ჰოლანდიელმა დიანა დე ლეუვმა.

მაყურებლები მეტეხარე ტაშით შეხვდნენ მოედანზე ლიუდმილა პახომოვას და ალექსანდრე გორშკოვს. პარტნიორის ავადმყოფობის გამო ამ წყვილმა ვერ შეძლო შეჯიბრებაზე გამოსვლა, მაგრამ ალექსანდრე უკვე გამოკეთდა და მათმა ცეკვამ „ლეი ამსტრონგის ხსოვნას“ უდიდესი სიამოვნება მიანიჭა მაყურებლებს.

საინტერესო პროგრამებით გამოვიდნენ კანადელი ტოლერ კრენსტონი, ამერიკელი ტერი კუბიჩკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები რომი კერმერი და როლფ ესტერრაიპი, კრისტინა ერატი.

საბჭოთა მოჭადრაკემების დიადწერილი

საბჭოთა გროსმაისტერების ჯგუფმა — მსოფლიოს ექა-ჩემპიონატბა ტ. პეტროსიანმა და მ. ტალმა, ე. გელერამ, ვ. კორჩნოიმ, გ. კუზმინმა, ლ. პოლუგაევსკიმ, აგრეთვე საერთაშორისო ოსტატმა ა. ბელიავსკიმ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას (ფიდე-ს) გაუგზავნეს ღია წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფიდე სხვადასხვა ნაკლებად დამაჯერებელი საბაბით უკვე ოერადაღეიჯერ ივიწყებს იმ ობიექტურ პროფესიებსა და კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ოფიციალური შეჯიბრებები მოწყობისას. აი ახლაც ფიდე იწვევს საგანგებო კონგრესს ნიდერლანდში, სადაც, ორგანიზატორთა იდეით, უნდა გადაინაცვლოს გადაწყვეტილება მსოფლიოს პირველობაზე ფინალური შეხვედრის რეგლამენტის შესახებ, რათა „რ. ფიშერისა და ა. კარპოვის მატჩის გადასარჩენად“ უზრუნველყონ ახალგაზდელი მსოფლიოს ჩემპიონისათვის უპირატესი პირობა და სტარტისწინა ორკულიანი ფორა.

წერილში ხაზგასმულია, რომ ასეთი მიკერძოებული დამოკიდებულება მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტისადმი, საბჭოთა მოჭადრაკეების აზრით, მათი და მსოფლიოში ყველაზე დიდი, ოთხმილიონიანი საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციის უპატივცემლობაა. რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ფიდე-ს ავტორიტეტის განმტკიცებისათვის.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია, აღნიშნავენ წერილის ავტორები, ემზადება იმისათვის, რომ

ქართული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

ვინ ვის?

ხალხურ სანახაობაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პოპულარული ცხოველების შეჯიბრება. მაგალითად, ოდითგან ცნობილია ძაღლების რბოლა და დათვების ჭიდაობა, ამჟამადაც, დიდ ინტერესს იწვევს ბანგუსტისა და კობრას ორთაბრძოლა, მამლების ძიძგილი.

იდდრეზიის კუნძულზეც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ცხოველთა შეჯიბრებები. ზოგიერთ რაიონში უამისოდ არც ერთი დღესასწაული არ ჩატარდება.

კუნძულ ბალის მცხოვრებნი უპირატესობას აძლევენ მამლების ძიძგილს. ბალის მებრძოლი მამლები ხშირად გაპყავთ საზღვარგარეთ და იაპონიის, ავსტრალიის, მალაიზიის, სინგაპურის „სტადიონებზე“ გამართვებაც მოუპოვებიათ. მაღურის მეცხოველეებს ძალიან მოსწონთ კამეჩების შეჯიბრებები. ეს ერთი შეხედვით ზანტი და მოუსვამავი ცხოველები არაჩვეულებრივ სისწრაფეს ამჟღავნებენ.

საუკუნეთა სიღრმიდან მოდის დასავლეთ იავის მიწათმოქმედთა ჩვეულება — მოსავლის დღესასწაულზე ერთმანეთს შეაჯიბრონ ცხვრები. ამისათვის არჩევენ და სპეციალურად კვებავენ ყველაზე ლონიერ ცხოველებს. შემდეგ ათასობით მაყურებელი იერიშება ბამბუკის ჯოხებით შემოფარგლულ „სტადიონზე“, სადაც გამოჰყავთ ტყავის ჯავშანჩაცმული ცხვრები.

(„სმლსპაია ქიზნ“).

ქალაქიც ამას ჰქვია...

ბელგიის ერთ-ერთი ქალაქის კაფეს მეპატრონეს სრულიად არ აწუხებს თავისი დაწესებულების ბედი. ეს სადარაჯო ძალი ყოველგვარ ელექტრონულ სისტემაზე უფრო საიმედოდ იცავს შენობას მძარცველებისაგან. დოგის წონა ოთხმოცი კილოგრამია, ხოლო როცა უკანა ფეხებზე დადგება, სიმაღლე ორ მეტრს აკარებებს.

(სურათი ამოღებულია გაზეთიდან „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი“).

მწვანე ცხვრები

სამხრეთ აფრიკის კარუას საძოვრებზე გამოჩნდა მწვანე მატყლიანი ცხვრები.

გაოცებულმა და ამავე დროს შეშინებულმა ფერმერებმა მაშინვე გაგზავნეს მატყლი ანალიზისათვის ქიმიურ ლაბორატორიაში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მატყლის შეფერილობის ცვლილება გამოწვეულია ბაქტერიებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით ნესტიან ამინდში მრავლდებიან. წელს კი კარუას ტერიტორიაზე, რომელიც მშრალი ჰაეთ არის ცნობილი, დიდი რაოდენობით მოვიდა ნალექები. ამის შესახებ იუწყება იუგოსლავიის ჟურნალი „არენა“.